თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 20

19 ნოემბერი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილი თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე უჩა ჭოტიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „თელავი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები" თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;
საკრებულოს ფრაქცია

საკრებულოს ფრაქციის
„თელავი საქართველოსთვის"
თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, დავით ჯორჯაძე, გიგა ორკოდაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი ნინო ტაბიძე;
საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი ლია ფარსადანიშვილი.

მოქალაქე: არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

ნ.ვაყელიშვილმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

ხოლო ნ.ხვისტანმა წარმოადგინა საკითხი: „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმის განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე" - დადგენილების მისარებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ".

გ.ორკოდაშვილმა და ლ.მრელაშვილმა მოითხოვეს საკითხის „სხვადასხვა" დამატება.

წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ.ღაღანიძემ, ი.პარწიკანაშვილმა, გ.ორკოდაშვილმა დასვეს კითხვები წარმოდგენილი ცვლილებებით განსახორციელებელი პროექტის გარკვეულ დეტალებთან დაკავშირებით (მართვა, ბენეფეციარები, ტურისტული პოტენციალი).

საკრებულოს წევრების შეკითხვებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს დ.ქსოვრელიშვილმა და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დ.ღაღანიძემ.

მოქალაქე ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა ქ.თელავის ისტორიული არეალის ურბანული განვითარების პროექტთან დაკავშირებით, რაზეც მომხსენებლისგან მიიღო შესაბამისი განმარტებები.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრი).

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

პროექტის წარდგენისას **ნ.ვაყელიშვილმა** საკრებულოს წევრებს მიმართა თხოვნით, წარმოდგენილ პროექტში კორექტირების განხორციელების შესახებ, კერძოდ: საშუალო და ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის დაფინანსების გაზრდით.

**ი.პარწიკანაშვილმა** დასვა კითხვა თელავის დასავლეთ შემოსასვლელში არსებული კემპინგის ეზოს შემოღობვის და კეთილმოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით. აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა **დ.ქსოვრელიშვილმა.**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>3.მოისმინეს:</u> „ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმის განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ - დადგენილების მისარებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ“.

მომხს. ნ.ხვისტანი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს წევრების მიერ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის ვადა განსაზღვრა 2022 წლის 19 მარტამდე, ხოლო საკრებულოს სხდომაზე განხილვა 1 აპრილამდე.

**(დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).**

<u>4.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს. ვაყელიშვილი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.ორკოდაშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია ახალი მოწვევის საკრებულოს მიეცეს საშუალება განიხილოს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი და მათ მიერ მოხდეს მისი დამტკიცება.

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით 2022 წლის ბიუჯეტის კომისიებში განხილვის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 24 დეკემბრამდე, ხოლო საკრებულოს სხდომაზე წარსადგენი ვადა 2022 წლის 1 იანვრამდე.

**(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20(ოცი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 03(სამი) წევრმა: გ.ორკოდაშვილმა, მ.მარკოზაშვილმა, გ.ქიზიყელაშვილმა).**

5.მოისმინეს: „სხვადასხვა“

აზრი გამოთქვეს: ლ.მრელაშვილმა აღნიშნა, რომ განხორციელდა ახმეტის მიმართულებით ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, რის გამოც აიწია გზის საფარის დონემ, აღნიშნულიდან გამომდინარე, დასუფთავების სამსახურს შეექმნა გარკვეული სირთულეები, რადგან ურნები განთავსებულია ისეთ ადგილებზე, რომ სპეც.ტექნიკას უჭირს მათთან მიახლოება. აუცილებელია აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

GEORGIA TELAVI MUNICIPALITY COUNCIL *231291535*